

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია შეიქმნა 2017 წლის 20 ნოემბერს. კომისიის თავმჯდომარე მ. ხაბულიანი, კომისიის წევრები: მ. ახვლედიანი, გ. სალინაძე, მ. სალინაძე, გ. გოგებაშვილი, ი. მემველიანი, კ. ხეცურიანი, ვ. ყურაშვილი, ა. მახარობლიძე.

კომისიის წევრები აქტიურად იყვნენ ჩართული 2018 წელს ცაგერის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტების მონიტორინგში, მონაწილეობდნენ დასრულებული პროექტების მიღება-ჩაბარების კომისიაში. კომისია მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად ჩართული იყო სტიქიით მიყენებული ზარალის დადგენის კომისიაში, მონაწილეობდა სატენდერო კომისიაში, მონაწილეობდა დეფექტური აქტების შედგენაში, ინსპექტირების ჯგუფში.

კომისია იყო ჩართული მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებში. ყოველკვარტალურად ანხორციელებდა ინფრასტრუქტურული სამუშაოების მონიტორინგის ანგარიშს და სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულების მიზნით შეიმუშავებდა შესაბამის რეკომენდაციებს. ჩართული იყო 2018 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვა-დამტკიცებაში, აწვდიდა სარეკომენდაციო წინადადებებს, ჩართული იყო ადგილობრივი სამგზავრო სატრანსპორტო გადაზიდვების გეგმისა და გრაფიკის შემუშავებაში, სუბსიდიის გამოყოფაზე, ანხორციელებდა მომსახურების გაწევაზე კონტროლს.

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია ადგენს სამუშაო გეგმას, შეიმუშავებს რეკომენდაციებს, მართავს სხდომებს და ადგენს შესაბამის ოქმებს. კომისიამ შეიმუშავა რეკომენდაციები ვადაგადაცილებულ და უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოებზე საჯარიმო სანქციების შემოღებაზე.

კომისიამ მონაწილეობა მიიღო 2019 წელს განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების შედგენაში, მის განხილვასა და დამტკიცებაში. კომისიის რეკომენდაციით პრიორიტეტად განისაზღვა ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, ხიდ-ბოგირების, სასმელი წყლის სათავე ნაგებობებისა და ქსელების რეაბილიტაცია.

კომისია რეაგირებას ახდენს შემოსულ განცხადებებზე, ადგილზე გასვლით შეისწავლის არსებულ მდგომარეობას და დაუყოვნებლად ახდენს რეაგირებას. კომისიის სახელზე 70 წერილი და 24 განცხადება არის შემოსული. რეაგირებირება მოხდა ყველა მათგანზე.